



საქართველო  
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ქალაქი ფოთი

№ 04/1455

07 / ოქტომბერი / 2019 წ.



KA000068923507919

**ქალაქ ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N15-ში (ს/კ N 04. 01. 12. 018) სს „თიბისი ბანკი“-ს სავაჭრო ობიექტის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ**

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს, 2019 წლის 27 სექტემბერს, განცხადებით (რეგისტრაციის N 01/7478) მომართა სს „თიბისი ბანკი“-ს წარმომადგენელმა და ითხოვა ქალაქ ფოთში, დავით აღმაშენებლის ქ. N15-ში სავაჭრო ობიექტის პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურმა შეისწავლა ზემოაღნიშნული საკითხი და დაადგინა, რომ სს „თიბისი ბანკი“-ს წარმომადგენლის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია აკმაყოფილებს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის, 2009 წლის 24 მარტის, N57 დადგენილების, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის, 2014 წლის 15 იანვრის, N59 დადგენილებისა და საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ამდენად, შესაძლებელია ქალაქ ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N15-ში (ს/კ N04. 01. 12. 018) სს „თიბისი ბანკი“-ს სავაჭრო ობიექტის პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 52-ე და 53-ე მუხლების შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**


1. დამტკიცდეს ქალაქ ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N15-ში (ს/კ N04. 01. 12. 018) სს „თიბისი ბანკი“-ს სავაჭრო ობიექტის პროექტი (თანახმად დანართისა) და გაიცეს მშენებლობის ნებართვა 2019 წლის 7 ოქტომბრიდან 2020 წლის 7 ოქტომბრამდე.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N3).

3. დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ ბრძანებას და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას გაეცნონ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის. ქალაქი ფოთი, აღმაშენებლის №12).

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/  
შტამგდასმულია  
ელექტრონულად 

გონა კურდღელია